№ 126. 19 ივნისი, შაბათი. 1866—1882 19 ივნისი, შაბათი. № 126.

რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე თ. ივ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროების" რედაქციაში, ქუთაისში: ჭილაძის (გერარდის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба".

„დროების" ფასი:

მთელის წლისა . . . 9 მან. | სამის თვისა . . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . . 5 მან. | ერთის თვისა . . . 1 მან.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა

დიდის ასოებით, ასოზე 1 კაპ.; [illegible] ასოზე ნახევარი კაპ., ჩვეულებრივის ასოთი სტრიქონზე 8 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს ერთი შაური.

ყოველ-დღიური გაზეთი

„დროება"

პირველის ივნისიდამ წლის დამლევამდინ ღირს ექვსი მანეთი.

ადრესი: Тифлисъ, редакція „Дроэба".

## ტელეგრამმა

(„ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი")

პეტერბურღი, 17 ივნისს. გუშინ-წინ, 15 ივნისს. პალატაში გაარჩიეს იმ ბრალდებულთ საქმე: რომელთაც ებრაელების ცემასა და ძარცვას აბრალებდნენ. ექვს ბრალდებულში ზოგი კატორღაში გაგზავნეს ოთხის წლით და ზოგი ციხეში ჩაამწყვდიეს სამის თვის ვადით; ერთი კი სრულებით გაამართლეს.

პეტერბურღი, 17 ივნისს. პოლიციამ აღმოაჩინა და დაატუსაღა პეტერბურღში, კიევში და ოდესაში რამდენიმე მძიმე დამნაშავე, რომელნიც იყვნენ ამხანაგნი და თანამოზიარენი სენატისაგან გავლილ თებერვალში განსამართლებულთ პოლიტიკურ დამნაშავეთა და რომელთაც მთავრობა დიდი ხანია ეძებდა; ამას გარდა დამტკიცდა, რომ პეტერბურღის რევოლიუციონერები კიდევ ახალ ბოროტ-განზრახულებისათვის ემზადებოდნენ; 5 ივნისს პოლიციამ 18 კაცი დაატუსაღა, რომელთაც 7 ყალბი პასპორტები ჰქონდათ და რომელთაც ადრე საიდუმლო აღკრძალულ საზოგადოებაში მიეღოთ მონაწილეობა; ამათ სადგომში პოლიციამ, სხვათა შორის აღმოაჩინა ყოველ ნაირი იარაღები დინამიტისა და ასაფეთქ მასალების მოსამზადებელი. რამდენიმე პირი დაიჭირეს აგრეთვე მოსკოვშიაც; ხოლო აქედამ სამი კაცი სადღაც დაიმალა ყალბის პასპორტით; ამათ სადგომში პოლიციამ აღმოაჩინა საიდუმლო სტამბა.

## დღიური

გავლილ ორშაბათის სხდომაზე ქალაქის რჩევას მოლაპარაკება ჰქონდა ბ. ტფ. გუბერნატორის წინადადებაზედ, რომ ქალაქმა თავის თავზე მიიღოს ადგილობრივ ბატალიონის სადგომის შენახვა, გათბობა და განათება; აგრეთვე ქალაქში გავლილ ჯარებისათვის სახლების დაქირავება, გათბობა და განათება.

გამგეობის მოხსენებიდამ აღმოჩნდა, რომ ამ საგნისათვის ქალაქს წელიწადში 40,000 მან. ახალი ხარჯი დასჭირდება და რადგან ამდენი ხარჯის კისრად აღება ჩვენს ხაზინას არ ძალ-უძს, ამის გამო უარი გამოვაცხადოთ ბ. ტფ. გუბერნატორის წინადადებაზედაო.

რჩევა დაეთანხმა ქალაქის გამგეობის აზრზედ.

ამავე სხდომაზედ გამოცხადდა, რომ მნაცაკანოვის ხიდის ასაშენებლად ქალაქს დასჭირდება სულ 52,000 მანეთამდინ; ვერის ხიდისათვის გამოანგარიშებულია 180,000 მან., დუქნებისა და იარმუკების გასამართავად—70,000 მან. ყველა ეს ფული დაიხარჯება იმ 75,000 მანეთიდამ, რომელიც ქალაქმა ვალად აიღო.

* * *

გაზ. „კავკაზში" დაბეჭდილია ოფიციალური მოხსენება ტფ. მაზრების უფროსებისა, რომლიდამაც სჩანს, რომ წელს თითქმის ყველა ამ გუბერნიის მაზრებში კარგ მოსავალს მოელიან პურისას და ხილეულისას, ბალახიც ყველგან ბლომად არისო.

* * *

„ბათუმის ფურცლის" მეშვიდე ნომერში დაბეჭდილია შემდეგი მარშრუტი კავკასიის მთავარ-მმართველის თ. დონდუკოვ-კორსაკოვისა:

27 ივნისს მობრძანდება ხერთვისში, სადაც ღამეს გაათევს; 27-ს იქნება ართვინში, 28-ს არდანუჯში; ართვინიდამ მაჭახელამდინ ნავით წამოვა ჭოროხზე; გამოივლის წითურეთს ბორჩხას; მაჭახელაში ისევ ცხენებით წამოვლენ; მაჭახელიდამ აჭარაში; ღამეს ქედას გაათევს; შემდეგ ხულოს და აქედამ გოდერძის ქედზე გადავა ახალციხეში 1 ივლისს.

ახალციხიდამ ქუთაისის გუბერნიაში გადავა და აქ ორის კვირის განმავლობაში იმერეთს, გურიას და სამეგრელოს.

თ. დონდუკოვ-კორსაკოვს თან ახლება: ბათუმის მაზრაში მოგზაურობის დროს ადგილობრივი ღუბერნატორი ღენ. სმეკალოვი, ბათუმის [illegible] უფროსი ღენ. კამაროვი და ქუთ. გუბერნიაში მოგზაურობის დროს ბ. ქუთაისის ღუბერნატორი მალაფეევი; ამათ გარდა თავის საკუთარი ამალი: სალაშქრო კანცელარიის უფროსი ფლიგელ-ადიუტანტი პოლკოვნიკი შეპელევი, ადიუტანტი მაიორი ზლობოვი, სამოქალაქო ჩინოვნიკი ზაკკელ და სამი-ოთხი მოსამსახურე.

* * *

ზემოხსენებულისავე გაზეთის სიტყვით, ღენერალ შილინსკის წარუდგენია უმაღლესის მთავრობისათვის თავის პროექტი ბათუმის ტბების გაშრობის თაობაზედ. ამ პროექტით, ყველა იმ ტბების გასაშრობად, რომელიც ბათუმს აკრავს გარშემო და რომლისგანაც ამ ქალაქის ჰაერი ასე გაფუჭებულია, დასჭირდებაო სულ 80,000 მან.

* * *

ესევე „ბათუმის ფურცელი" სასიამოვნო ამბავს გვაცნობებს, რომ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" იქაურს ქართულს სკოლაში ამ ივნისის 8-ს ეგზამენები ყოფილა, რომლებზედაც რამდენიმე გარეშე პირნიც დასწრებიან. ყველა კითხვაზე ყმაწვილები ცოცხლად, თამამად და ხალისით აძლევდნენ პასუხს ქართულადაც და რუსულადაცო; საზოგადოთ იმათ დამსწრე პირებზე ძალიან კარგი შთაბეჭდილება მოახდინესო.

„ერთი უმთავრესთაგანი მიზეზი ყმაწვილების კარგათ მომზადებისაო, ამბობს გაზეთი, უეჭველია, ის გარემოება არის, რომ პირველ-დაწყებით სწავლას ამ სკოლის შაგირდებს უცხო ენაზე კი არ გარდასცემენ, არამედ ასწავლიან თავის სამშობლო ენაზედ".

* * *

ახალციხიდამ გვაცნობებენ, რომ ამ თვის 8-ს ღამის პირველ საათზე იქ, ძველს-ქალაქში, იქაურ მცხოვრების დიმიტრი პავლეს-ძეს მეფისაშვილისთვის ვიღაცას ორჯერ უსროლია რევოლვერი და ისე მძიმედ დაუჭრია, რომ მეორე დღეს სამ საათზე დაჭრილი მომკვდარა. მკვლელი ჯერაც ვერ აღმოუჩენიათო.

* * *

იმერეთიდამ შემდეგ ამბავს გვწერენ:

„ქვემო იმერეთში სოფელს ეწერაში, სადაც ცხოვრებენ აზნაურები კა-

---

„დროების" ფელეტონი, 19 ივნისი.

## უკანასკნელი მთამომავალი საქართველოს მეფის სახლობისა.

(სომხ. ჟურნ. „არძაგანქიდამ", №12)

სწორედ ასი წელიწადია მას აქეთ (1782 წ), ტფილისის ქუჩებში დასეირნობდა რაღაც ახირებულის ტანისამოსით ერთი ვინმე რეინეგს, რომელსაც მუდამ თან დაჰყვებოდა საქართველოს მეფის ირაკლი მეორის თორმეტის წლის ვაჟი ბატონიშვილი ალექსანდრე.

ეს იყო იმ დროს, როდესაც რუსეთის იმპერატრიცას ეკატერინეს და თ. პატიომკინს ჰქონდათ განზრახვა, რომ ოსმალოსა და სპარსეთის უღლიდგან განთავისუფლებინათ ქრისტიანენი,

გერმანიის დოქტორი რეინეგს, რომელსაც დაევლო თითქმის ყველა აღმოსავლეთის ქვეყნები, გამოგზავნა თ. პატიომკინმა კავკასიის ქრისტიანეთა გასამხნევებლად. დოქტორი რეინეგს იყო აღტაცებული კაცი, ის დაიარებოდა ტფილისის ქუჩებში და უქადაგებდა ხალხს ჯარები შეედგინათ, არარატთან მოგროვილიყვნენ, სპარსეთის წინააღმდეგ გალაშქრებულიყვნენ, დაეპყროთ ანატოლია და ამის შემდეგ კავკასიაში დაეარსებინათ ერთი ძლიერი საქრისტიანო სახელმწიფო. აი ამისთანა აღტაცებული და ოცნებით სავსე კაცის ხელში იზრდებოდა ბატონიშვილი ალექსანდრე.

საქართველოს სამეფო სახლის უკანასკნელ მეფეების ისტორია ძალიან საინტერესოა; ეს ისტორია გვიჩვენებს, თუ რამდენად დაღუპულად უნდა ჩაითვალოს ის სამეფო სახლი, რომლის წევრნიც მუდამ ერთმანეთის მტრობაში და განხეთქილებაში ატარებენ დროებას; ეს გვიჩვენებს—თუ რამდენად დამღუპველია იმისთანა განხეთქილება არა თუ მარტო მეფობისათვის, არამედ თვით ერისთვისაც. ამის დასამტკიცებლად საკმაოა მოვიგონოთ ის შედეგი, რომელიც მოჰყვა საქართველოს ბატონიშვილებს ერთმანეთის განხეთქილებას: აღა-მაჰმად-ხანისაგან ტფილისის აკლება, მუდმივი თავსდასხმა ლეკებისა და საზოგადოთ მთელი საქართველოს ერის დაცემა გასულ საუკუნის დამლევს.

მოგეხსენებათ, რომ მეფე ირაკლი მეორეს სამი ცოლი ჰყავდა. პირველის ცოლისაგან იმას ჰყავდა მხოლოდ ერთი ქალი; მეორესაგან ერთი ვაჟი—გიორგი და ერთიც ქალი; მესამესაგან დარეჯან დადიანის ასულისაგან კი შვიდი ვაჟი: იულონ, ვახტანგ, ანტონ, მირიანი, ალექსანდრე და ფარნაოზი, და ამათ გარდა სამი ქალი, — მაშასადამე ირაკლის ჰყოლია სულ შვიდი ვაჟი და ხუთი ქალი.

საქართველოს კანონებით ტახტის მემკვიდრეობა ეკუთვნოდა მამათ სქესს უფროსობით.

ირაკლის მემკვიდრედ, ამ კანონის ძალით, ითვლებოდა ბატონიშვილი გიორგი, რომელიც ჯერ მამის სიცოცხლეშივე ორჯერ იყო ჯვარდაწერილი; პირველის ცოლისაგან ჰყავდა ოთხი ვაჟი: დავით, იოანე, ბაგრატი და თეიმურაზი და ოთხი ქალი; მეორე ცოლისაგან კი ჰყავდა ხუთი ვაჟი და სამი ქალი.

ამ ნაირად ირაკლისა და იმის უფ-

ხიანები მოხდა შესაზარებელი შემთხვევა: Oერთმეტს ამა ივნისს საღამოს ნიკო ქახიანის ეზოს გარეთ სძოვდა ბალახს ღორი, რომელსაც მივარდა გახელებული მგელი დააწყებინა ყვირილი პატრონმა დაავლო კეტს ხელი და გამოუდგა მგელს. Dაეწია მგელს, დაჰკრა კეტი, მაგრამ გაბრაზებულს ვერა დააკლო-რა მინამ მეორეთ შემოკრავდა, მგელი მოუბრუნდა, ეცა ცხვირ-პირში და ისეთ ნაირათ დაგლიჯა, რომ საზარელ სურათს წარმოადგენდა ამ კაცის დანახვა: თვალებისა და ტხვირის მეტი აღარა უჩნდარა, ლოყები და ტუჩი სულ მოგლეჯილი ჰქონდა.

„Oუმცა იმ ღამესვე ექიმი მოიყვანეს, მაგრამ ექიმმა იმას წამლობაზე უარი განაცხადა, ვერ მოვარჩენო.

„ზაიგო თუ არა ხალხმა, რომ სოფელში გახელებული მგელი იყო და შეიძლება სისხლის მოცხებით სხვაზედაც გადავიდეს (?) ამისთანა ავადმყოფობას, ყველა ერიდება: ცოლი და წვრილი შვილებიც კი სხვა სახლში გარდაიყვანეს, მხოლოთ სანამ ცოცხალია, თავის გასათხოვარი და უვლის.

„Iმ დღესვე იქვე, სოფელს Iანეთში, ორი კაცი დაეგლიჯა ამ მგელმა; იმათგან ერთი მაშინვე კიდეც მოკვდა და მეორე კიდევ ცოცხალია.

„ზურიიდამ მოიტანეს აგრეთვე ამბავი, რომ იქაც რამდენიმე კაცი დაუგლეჯია მგლებს“.

* * *

სამს და ოთხს ამ თვეს ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრებამ მოისმინა ბ. Dავ. ბაქრაძისაგან წარდგენილი პროგრამმა იმ რეფორმებზედ, რომელნიც სასურველი არის ჩვენში შემოღებულ იქმნენ, და უმეტესის ხმით გარდასწყვიტა, რომ იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე იმის შეწყნარებაზე.

1) შემოღებულ იქმნეს თან-და-თან ჩვენს სამსაჯულოებში საქმის წარმოება ქართულს ენაზე იმ წესით, რომელიც არის დამყარებული Oსტზეის გუბერნიებისათვის, ანუ: Eსტლიანდიის, Lიფლიანდიის და Kურლიანდიისათვის.

2) Dაწესდეს მაზრის სამსაჯულოებში ნაფიცი მსაჯულები, როგორც ეს შიგნით რუსეთში არის.

3) შეიცვალოს წესი მომრიგებელ მსაჯულების დანიშვნისა და გამოცვლის, მათი დამოკიდულება მაზრის სამსაჯულოზედ და სამზღვარი მათის უფლებისა და ვალდებულების.

4) Dაწესდეს სოფლად საყოველთაო დაბალი სამსაჯულოები მცირე საქმეთათვის.

5) შემოღებულ იქმნეს ერობა იმ ცვლილებით, რასაც მოითხოვს ჩვენი ხასიათი და ცხოვრება.

6) შეცვლილ იქმნეს სამოქალაქო კანონების რამდენიმე მუხლი და საზოგადოდ სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთ წარმოების წესი ხალხის ჩვეულების და ზნის გვარად; აღდგენილ იქმნეს რამდენიმე ძველი ქართული კანონები, მაგ. 30 წლის დიდ-ხნოვანება, ხატზე ფიცი, მიწის გაცვლა-გამოცვლა, მოწმობით უძრავ საცხოვრებლის კუთვნილების დამტკიცება, გზითა და წყლით სარგებლობა და სხ. და სხ. Eქვსი თვის მფლობელობის ვადა წლად გადაკეთდეს (სამოქ. საქ. წარ. წესის 29 სტ. 4 პუნკ.), და შეიცვალოს წესი სასამართლოში უძრავის ქონების დაფასებისა, იმ რიგად მაინცა, რომ ვინც ფასი აუწიოს, იმოდენად ბაჟიც იმან გადიხადოს.

7) შეიცვალოს ნოტარიული კანონები, ჩვენს ცხოვრებაზედ მოუთავსებელნი.

8) Dაჩქარდეს ყველგან მიწის გამიჯნვა და შეიცვალოს მისი საქმის წარმოება.

9) ჩვენი კლასსიკური სასწავლებლები გადაკეთდეს ნახევარ კლასსიკურად, მათ მოსწავლეთ უნივერსიტეტში შესვლის უფლების მინიჭებითა და მოემატოს, როგორც უნივერსიტეტებში, ეგრეთვე სხვა მაღალ სასწავლებლებშიაც, სტიპენდიატების რიცხვი.

10) Kოველს სასწავლებლის პირველს სამს ოთხს კლასში ყოველი საგნის სწავლა იქმნეს ქართულს ენაზე, და უფროს კლასსებში მის სწავლას მიეცეს ჯეროვანი ადგილი.

11) ზაიხსნას ჩვენში უმაღლესი აგრონომიული სასწავლებელი.

12) Dამყარდეს Kავკასიის მთავარ-სამმართველო რჩევა, რომელსაც ექმნეს უმაღლესი ზედამხედველობა ყველა ადგილობრივს უფლებასა და დაწესებულებაზედ, რასაკვირველია თვინიერ მთავარ-მართებლისა. Aმ რჩევას ექმნეს მინიჭებული უფლება ადგილობრივ კანონთ-მსჯელობისა და დადებულის წესით მათის უმაღლესის მთავრობისადმი შესაწყნარებლად წარდგენის. Wევრებად ამა რჩევისა იყვნენ წარმომადგენელნი თვითოულის სამინისტროსი უმაღლესის ბრძანებით დანიშნულნი და თანასწორ მათთან რიცხვით, ხარისხით და უფლებითა ხალხისგან არჩეულნი პირებიცა, ეგრეთვე დამკიცებულნი უმაღლესის უფლებით.

Aმას დაემატა ოზურგეთის მაზრის თავად აზნაურთაგან შემოტანილი სამი წინადადება.

1, ზაიხსნას კავკასიაში უნივერსიტეტი.

2, ქუთაისის სააზნაურო სკოლა გადაკეთდეს გიმნაზიად, თავად აზნაურების ხარჯით.

3, შემოღებულ იმქნეს ამორჩეულთ მომრიგებელ-მსაჯულთ ინსტიტუტი. („შრომა“).

* * *

ზაზ. „შრომაში“ იწერებიან:

„ჩვენის სათავად-აზნაურო სკოლის წრევანდელმა ეკზამენებმა შარშანდელზედ კიდევ უფრო დაგვარწმუნა, თუ რა დიდად სასარგებლოა დედაენაზედ სწავლება. Oრმოციოდე ყმაწვილთაგან, რომელთაც ამ მოსამზადებელის სკოლის კურსი უნდა გაეთავებინათ წრეულს, მხოლოდ ერთი თუ ორი აღმოჩნდა სუსტად მომზადებული, სხვები კი ისე კარგად ნასწავლი არიან, რომ ადვილად შეუძლიანთ სწავლის გაგრძობა გიმნაზიებსა და პროგიმნაზიებში. სალვთო სჯუ[ლისა] და ისტორიის ეკზამენზედ ... ესწრო ყოვლად-უსამღვდელოესი იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელ, რომელიც თვითონ ჰკითხავდა ყმაწვილებ[ს] და მათის მიგებით კმაყოფილი დარჩ[ა]. კიდევ უფრო კმაყოფილება ეტყობოდათ ორს გიმნაზიის მასწავლებელს, რომელნიც სკოლის მზრუნველობი[ს] და ინსპექტორის თხოვნით გამოგზავნა ეკზამენებზედ დასასწრებლად გა[...] გიმნაზიის დირექტორმა. Aმ მასწავლებლებმა გამოსცადეს ყმაწვილებ[ი] რუსულის ენისა და არითმეთიკის ცოდნაში“.

* * *

„ქუთაისის გიმნაზიაში წელს, როგორც „შრომა“ გვაცნობებს, ოცდაათზედ მეტმა ყმაწვილმა გაათავა კურსი; იმათგან მხოლოდ ათს მიუღ[ია] ატესტატი, და სხვებს, ამბობენ, უბრალო მოწმობები ეძლევათო, თუმცა ეს ჯერ საბოლოოდ არ გადაუწყვეტიაო პედაგოგიურს რჩევას, რადგან ამ რჩევის წევრნი ვერ შეთანხმებულან, თუ ამ დანარჩენთაგანს ვის ატტესტატი უნდა მიეცესო და ვის მოწმობა.

## წერა - კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წლიური კრება

6 ივნისს 1882 წელს

Kრება პირველად დანიშნული იყო 30 მაისს, მაგრამ რადგან მასზე ვერ შეიკრიბა კანონიერი რიცხვი წევრებისა, ამისთვის გადაიდო 6 ივნისისთვის.

Oავსმჯდომარედ იყო თ. I. ჭ. ჭავჭავაძე. Dაესწრნენ წევრნი დამფუძნებელნი და ნამდვილნი, სულ 27.

სხდომა გაიხსნა 11 საათზე და დაიხურა შუადღის უკან 4 საათზედ.

Kრების განსახილველად საზოგადოების გამგეობისაგან იყო დანიშნული შემდეგი საგნები:

I) მოსმენა და დამტკიცება საზოგადოების საქმეთ-წარმოებისა 15 მაისიდამ 1881 წ. 15 მაისამდე 1882 წ.

---

როსი ვაჟის (მემკვიდრის) ზიორგის პირდა-პირი შთამომავლობა სულ 28 სულისაგან შესდგებოდა. ზანხეთქილება ამათ შორის ყველაზე პირველად დაიბადა ამათ ნივთიერ დაკმაყოფილებაზედ, რომელიც იმ დროს, საქართველოს გაჭირების დროს, სახუმრო საქმე არ იყო.

მესამე ცოლს Iრაკლისას, დედოფალს Dარეჯანს, რომელიც ძალიან შესანიშნავი ქალი იყო, სულითა და გულით უნდოდა, რომ ტახტის მემკვიდრეობა ზიორგისა და იმის შვილებისათვის ჩამოერთმია და თავის მკვიდრს შვილებისათვის გარდაეცა. Dედოფალი Dარეჯან ისეთის ხასიათის ქალი იყო, რომ თვით იმისთანა მეფემ, როგორიც იყო Iრაკლი, ვერ დაიმორჩილა და ვერ აღუდგა წინ თავის ცოლის განზრახვას. მეორეს მხრით, ზიორგის ჰსურდა, რომ საქართველოს მეფედ ეკურთხებინა თავის საკუთარი პირველა ვაჟი ბატონიშვილი Dავით, რომელსაც ცოლად შეერთო სომხის მღვდლის სიმონ Aბამელიქის ქალი Eლენე. Aი ამ გარემოებამ, Dავითისაგან უბრალო სომხის ქალის შერთვამ, აალელვა საქართველოს ზოგიერთი თავად-აზნაურობა, რომელთაც დედოფალი Dარეჯან აქეზებდა, და აქედამ დაიწყო განხეთქილება მეფის სახლობაში. Eს განხეთქილება იყო საქართველოის ერის წინა მორბედი; ამან შეჰფერხა ხალხის ბედი განსაკუთრებით როდესაც საქართველოსა და სპარსეთს შორის შეტაკება მოხდა.

Aქვე უნდა ვსთქვათ, რომ ამ ბატონიშვილებში ყველაზე უფრო ნიჭიერი, მხნე და გონიერი იყო მეხუთე ვაჟი Dარეჯანისა—ბატონიშვილი Aლექსანდრე, რომელიც 1770 დაიბადა.

მეფე Iრაკლიმ იცოდა თავის შვილის Aლექსანდრეს მხნეობა და ჭკუა და 1794 წ. გაგზავნა ის ჯარებით Iმერეთის მეფის სოლომონის მისაშველებლად.

Iმან დაამარცხა Iმერეთის მეფის მტერი და იქიდამ დაბრუნებისათანავე ბატონიშვილი Aლექსანდრე გაემგზავრა ქართველის ჯარით შუშისა და Eრევნის ხანების დასახმარებლად, რომელთაც თავს დაესხა Aღა-მაჰმად-ხანი რვა-ათასი ჯარით. ბატონიშვილმა Kარაბაღის სამზღვარზედ დაამარცხა Aღა-მაჰმად-ხანი; მაგრამ გამძვინებული ხანი შემოვიდა საქართველოში და 11 სექტემბერს 1795 წელს აიკლო დედა-ქალაქი Tფილისი. Iსტორია არ მოგვითხრობს—სად იყო ამ დროს ბატონიშ. Aლექსანდრე, მაგრამ ამავე წელს, სპარსელების უკან დაბრუნების შემდეგ, ბატონიშ. Aლექსანდრე იერიშით მიადგა ზანჯას (Eლისავეტპოლს).

1797 წ. მეფე Eრეკლე ავად გახდა Oელავში. Oვითონ Tფილისში ამ დროს ჭირი (ჟამი) გაჩნდა.

Aმავე დროს პირველად გამოაშკარავდება უკმაყოფილება ბატონიშვილს Aლექსანდრესა და ტახტის მემკვიდრეს ზიორგის შორის. Aლექსანდრე Kაზახ-ბორჩალოს თათრებს აგროვებს, უნდა დაეცეს Tფილისს, დაიპყრას ქალაქი და საქართველოს ტახტის მემკვიდრედ გამოაცხადოს თავის თავი; მაგრამ Tფილისში გავრცელებულ ჭირმა დაუშალა ამ განზრახვის სისრულეში მოყვანა.

1798 წელს 11 იანვარს მეფე Iრაკლი II გარდაიცვალა Oელავში. Aრც ამის მიცვალების დროს და არც დასაფლავებაზედ არ დასწრებიან ზიორგი და Aლექსანდრე; პირველ ამათგანმა ტახტის მემკვიდრედ გამოაცხადა

II) მოსმენა და დამტკიცება მომავალის წლისათვის შედგენილი სავარაუდო შემოსავლის და დასახარჯი ფულის სიისა.

III) საზოგადოების ახალ წევრთ ამორჩევა და

IV) ამორჩევა საზოგადოების თავმჯდომარისა და მმართველობის წევრთა.

## I.

წაკითხულ იქმნა საქმის-მწარმოებლისაგან სია წევრთა დამფუძნებელთა და ნამდვილთა. შემდეგ კრებამ მოისმინა რიგისამებრ თითოეულად განსახილველი საგნები.

როცა ანგარიშის კითხვა გათავდა კრებაზე გაიმართა ბაასი მომგები ბილეთების ტირაჟში გამოსვლაზედ.

თავმჯდომარე ი. ჭავჭავაძე. ეგ ბილეთები იყიდა მმართველობამ დ. ჩ. ჩიფიანისაგან, რომელსაც იგინი მიბარებული ჰქონდა ბარუჩევის საბანკირო კანტორაში და აგრეთვე სტრახში იყო შეტანილი. მხლა თუნდ ტირაჟშიც ამოვიდნენ ის ბილეთები გამოსულნი, მმართველობა მათ შესახებ უზრუნველია, რადგან მან ისინი იყიდა დასტრახულები ბ. ჩიფიანისაგან და თუ ბარუჩევმა ხრა მოგვცა რა, იგი დაპირებულია, რომ მმართველობას დაუბრუნებს იმ ბილეთების ფასს.

შემდეგ ბათუმის სკოლის შესახებ აძრა ბაასი ბ. ჯაჯანაშვილმა.

ბ. ჯაჯანაშვილი. რამდენია ბათუმის სკოლაში შაგირდი-მაჰმადიანი? თავმჯდომარემ უპასუხა, რომ არც ერთი.

ნ. ხუდადოვი. თუ გამაჰმადიანებული ქართველების შვილები არ არიან ბათუმის სკოლაში, მაშინ რა აზრი აქვს მას. უმჯობესი არ იქნება მის მაგიერად აქ გაიმართოს კარგი სკოლა ერთს სადმე დიდს სოფელში.

ი. ჭავჭავაძე. იქნება დღემდი სიმპათია ვერ მიიზიდა გამაჰმადიანებული ქართველებისა ჩვენმა სკოლამ, მაგრამ დღეს თუ არა ხვალ მოიპოვებს იგი მათს თანაგრძნობას. ორი წელიწადი ცოტა დროა ამ გვარს საქმეში, მით უფრო რომ იქაური ხალხი ყოველს დაწყობილობას იჭვით უცქერის. მეტადრე ჩვენს სკოლის ან სარწმუნოებას, ან რჯულს ხომ არ ემუქრებიან ამ სკოლითაო. დრო გაივლის და ყოველი ეჭვი გაიფანტება ამ სკოლის შესახებ. ამის გარდა თვით სკოლაც, ეგეც რომ არ იყვეს, სარგებლობას უტანს იქაურს ქართველობას, მოვაჭრეებს და მისულებს: მაგრამ. მეგრელებს და გურულებს.

ზ. უმიკაშვილი. იქ თუმცა მთავრობის სკოლაც არის, მაგრამ ჩვენი სკოლაც უნდა იყვეს, თუნდ ათიოდე წელიწადი, რადგან ჩვენი სკოლა სხვა პროგრამით სწარმოებს და მთავრობისა-სხვა პროგრამითა. ვაჭრები დამკვიდრდნენ იქა და იმათ უნდა რიგიანად გამართულს სკოლაში სწავლა, რომ სულ სხვა არა იყოს რა. თუ არა და, თუ კი ბერძნებს და სომხებს აქვთ იქ თავიანთი სკოლა, ჩვენ რატომ არ უნდა გვქონდეს.

გლ. მიქელაძე. ქალაქს და ქალაქის სკოლას იჭვით უცქერის იქნებ, როგორც ხშირად მოხდება ხოლმე, სოფლობა. გავმართოთ, თუ გვინდა ჩვენი დედა-აზრის მიღწევა შუა ადგილას სადმე ამ გამაჰმადიანებულს ქვეყანაში. მიზეზი იმისა, რომ ბათუმის სკოლა მიზანს ვერ ეწევა, ეს საზოგადო მოსაზრება უნდა იყვეს. თუ გვინდა სულიერი კავშირი არ გავწყვიტოთ თანა-ძმებთან, გავმართოთ სოფლად სკოლა და საშუალებასაც ნუ დავიშურებთ.

ა. ცხვედაძემ ხუდადოვის წინააღმდეგ ილაპარაკა და თავმჯდომარის მოსაზრება გაიმეორა. „დროს განმავლობაში სკოლა სიმპატიას მოიპოვებს. ხუდადოვის აზრი იმედ-გარდაწყვეტილი აზრია და სასოება მიხდილი.

გ. გულისაშვილი. რადგან ნიადაგი ვერ მოიკიდა სკოლამ ამ ორი წლის განმავლობაში, შემდეგაც ველარ მოიკიდებს. ასეა ამ ნაირს შემთხვევაში. რუსეთმა რომ დიდოეთში სკოლა გახსნას, იგი ვერ მოიკიდებს ფეხსა, რამდენი ხანიც უნდა არსებობდეს. ტყული ცდილობა იქნება.

თ. რ. ერისთავი. თუ აქამდინ სკოლა ვერ გამაგრდა, ეგ კიდევ არაფერია. რუსი ჩვენ სამ-სამ მანათს გვაძლევდა უწინ, ოღონდ კი ისწავლეთო და ახლა ჩვენ ოც-და-ათ-თუმანსაც ვაძლევთ პირ-იქით, ვეხვეწებით, ოღონდ გვასწავლეთ რამეო. იქაც ეხლაც ძლიევს დამკვიდრდა ხალხი. წასასვლელი ვინც იყო წავიდა, დამრჩენელი დარჩა. ახლა გვიჭირს და უჭირთ იქ სკოლა. ბაირალი გაგვიშლია სკოლისა და ნუ უკვე სირცხვილეულნი უნდა დავბრუნდეთ უკანა. გრიგოლ გურიელი უწინვე, როცა ჯერ არ შემოგვერთებულიყვნენ მაჰმადიანი ქართველები, მთხოვდა ოსტატი და წიგნები გამომიგზავნეთო და ეხლა, როცა შემოგვიერთდნენ— ახლა, როცა სკოლაც გვაქვს დამყარებული, ცოტად მაინც არის, ახლა უნდა მოვსპოთ იქ სკოლაო.

ნ. ხუდადოვმა განიმეორა, რომ ამ სკოლით მიზანს ვერ მივაღწევთო და ზნეობითს კავშირსაც ვერ განვამტკიცებთო. მასწავლებელი კარგია, შენიშნა მან, და ვერა მოახერხა-რაო. პაემანი და პირობა გადასახლების შესახებ გათავდა, მართალია, მაგრამ თუმც არ გათავებულიყო, მაინც მაგას არავითარი მნიშვნელობა არა აქვსო სკოლის შესახებ. იმისთანა და ისე ხარჯიანი სკოლა და იმისთანა მასწავლებლით, როგორც ნანეიშვილიაო, აქ რომ გაიხსნას უმჯობესი იქნებაო, მით უმეტეს, რომ საზოგადოებას ცოტა შემოსავალი აქვსო.

ნ. ცხვედაძე, ბათუმი ის არის იქით, დასავლეთის საქართველოში, რაც აქ აღმოსავლეთის საქართველოში—ტფილისია. ბათუმი მთავარი ძარღვია იმ მხარესი და სავაჭრო პუნკტი, საცა ყველა მაზრიდგან იყრიან თავსა. მე ვამტკიცებ, რომ იქ სკოლას მომავალი მოელის. ჯერ ისევ სკოლა არ გაგვეხსნა, რომ ერთი მოხუცებული ქობულეთელი მელაპარაკებოდა, რახან სკოლა გინდათ, აქ, ბათუმში, გახსენითო. პირველად, მართალია, გვწამებდენ პოლიტიკურს და რელიგიურს პლანების მიღწევას, ახლა თანდა-თან ეგ აღარ იქმნება. მე ვნახე, როგორც სწავლობენ ამ სკოლაში როგორც ლექსებს სწერენ და მრწამს, რომ იქ საჭიროა სკოლა. იქ ყველა მიელტვის ჩვენი საქართველოს ყოველი კუთხიდამ. მართლა მარტო მაჰმადიანი ქართველი კი არა გვყავდა სახეში, როცა იქ სკოლას ვაარსებდით, იქ წმინდა ქართველობაც ბევრია და მათთვის არის საჭირო სკოლა.

მღ. დ. ჯანაშვილი განმარტავს მომეტებულთაგან გამოთქმულს აზრს სკოლის საჭიროებაზე და შენიშნავს „შერცხვათ და წავიდნენ, მიზანს რომ ვერ მიაღწიესო, თავიანთ უთუოდ რაღაცა იდუმალს განზრახულებასაო, თორემ რატომ აქაური ქრისტიანი ქართველებისათვის არ დასტოვეს სკოლაო, თუ ასე არ არისო,—იტყვიან ბათუმელნი მაჰმადიანნი. ნური-ბეგ ხიმშიაშვილს რომ მოუწერია, მომეხმარეთ და შავშეთშიაც სკოლა გაეხსნათო, იქაც უნდა გაიხსნას ჩვენგან სკოლა. ერთი ხალხი ვართ ერთი ენა გვაქვს და ზნეობითი კავშირი უნდა ვიქონიოთ“.

რ. ჯაჯანაშვილი. სოფლებში ის დამაბრკოლებელნი მიზეზნი აღმოჩნდებიან, რომელნიც ბათუმში მოქმედობენ.

გლ. მიქელაძე. რკინის გზის შტოს გაყვანის შემდეგ, ქართველობა და ქართული ელემენტი გაძლიერდება ბათუმში, სკოლას ნიადაგი აღმოუჩნდება. ცუდი ზნეობითი მაგალითიც არის სკოლის გახსნა და გაუქმება.

თავმჯდომარე ილია ჭავჭავაძემ მოუკრიფა ყოველს გამოთქმულს აზრს თავი და დაასკვნა; „ორი აზრი გამოითქვაო. 1) მოისპოს ბათუმის სკოლა და 2) დაარსდეს მეორეც სოფლადო. ჩემი აზრია, მიანდოს კრებამ ეს საგანი გაალდასაწყვეტად მომავალს მმართველობას, რადგან ზოგიერთა ისეთი შინაგანი გარემოებანიც არსებობენ, რომელნიც ჰრთულჰყოფენ

---

...თავი და მეორეს—ბატ. ალექსანდრეს-კი ეშინოდა, გიორგის ხელში არ ჩაუვარდეო, რადგან იმისაგან ...ლას მოელოდა. მხოლოდ როცა მეფე ირაკლის გვამი მცხეთაში ...ვენეს, ბატონიშვილი ალექსანდრე ღამით მივიდა იქ, საიდუმლოდ ...და ეკკლესიაში, საცა მიცვალებული ესვენა, ეამბორა მას და იმ ...ვე გასწია დუშეთისაკენ, მთებ-...

...ტახტზე ასვლისა-თანავე მეფე გიორგი ცოტ-ცოტათი დაუწყო მტერობა დედოფალს დარიას და იმის შვილებს. ...ჩამოართვა ამათ მამულები და თავის საკუთარ შვილებს დაურიგა. ამ ...იდამ დაწყებული ალექსანდრე ...ვებული იყო თავის სამშობლოდგან. ის ჯერ ახალციხეში წავიდა, აქედამ იმერეთში, იმერეთიდამ ახალციხეს დაბრუნდა და აქედამ ...ში და განჯას წავიდა. გიორგის ჯარები ამაოდ მისდევდნენ იმას დასაჭერად.

თუმცა 1800 წ. ტფილისში ორი პოლკი რუსის ჯარი იდგა მეფე გიორგის ტახტის დასაცველად, მაგრამ ბატონიშვილი ალექსანდრე ამათ არ შეუშინდა: მოაგროვა დაღისტნის ლეკები და ამათის სარდლით—ომარხანით გამოსწია ტფილისისაკენ. მდინარე იორზე შეეტაკნენ ჯარები; ლეკები დამარცხდნენ; თვით ბატონისშვ. ალექსანდრე დაიჭრა ამ ომში და იძულებული იყო გაქცეულიყო; მაგრამ ამის დამშვიდება ასე ადვილად არ შეიძლებოდა.

1800 წელს მეფე გიორგიმ რუსეთის იმპერატორების მფარველობის ქვეშე გარდასცა თავის სამეფო და ამავე წლის 25 ქრისტეშობისთვეს გარდაიცვალა ეს უკანასკნელი მეფე საქართველოისა.

მეფე გიორგის გარდაცვალების შემდეგ, წინადვე მოხდენილის განკარგულებითა და პირობით, საქართველოის ტახტის მემკვიდრედ არავინ აღარ ყოფილა გამოცხადებული.

ბატონისშვილები გადაიყვანეს რუსეთში. ალექსანდრესაც პატიობა და შესაფერი პატივის-ცემა დაჰპირდნენ, მაგრამ ის ოცნებითი იმედებით ერთობ გატაცებული იყო: წავიდა სპარსეთში იმ განზრახვით, რომ სპარსეთის შაჰის დახმარებით დავიბრუნებ ჩემ წინაპართა ტახტსაო.

აი ამ დროიდამ იწყება კეთილგანწყობილება და მეგობრობითი კავშირი სპარსეთის ტახტის მემკვიდრეს აბბას-მირზასა და ბატონისშ. ალექსანდრეს შორის. ბატონისშვილმა მოახერხა და ააჯანყა რუსეთის წინააღმდეგ ლეკები, განჯისა და ერევნის ხანები და ბოლოს თვით სპარსეთის შაჰიც. რამდენიმე წლის განმავლობაში იყო განუწყვეტელი ბრძოლა და შეტაკება და ყველა ამ შეტაკებაში ბატონიშვ. ალექსანდრეც იღებდა მონაწილეობას.

ამ ბრძოლისაგან და განსაკუთრებით ქართველ ჯარების აკლებისაგან ყველაზე უფრო მომეტებული ზარალი სომხებს ეძლეოდათ, რომელნიც ბოლოს იძულებული შეიქნენ აყრილიყვნენ თავიანთ მიწა-წყლიდამ: ისინი მოვიდნენ ტფილისში და დასახლდნენ ავლაბარში.

ეჩმიაძინის სომხის სამღვდელოება 1804 წელს, როდესაც თ. ციციანოვი რუსის ჯარებით მიადგა ერივანს, ცდილობდა შეერიგებინა რუსები და ბატონისშვილი ალექსანდრე; მაგრამ ციციანოვმა უარ-ჰყო შერიგება!

(დასასრული შემდეგში)

საგანს და აძნელებენ მის ბეჯითად განსჯას ვრცლად და საჯაროდ. აი თუნდ ზოგი მითგანი: თ. ი. ბაგრატიონ-მუხრანსკის განზრახვა აქვს და აპირებს ამ სკოლის ხარჯი გაუნახევროს საზოგადოებას. მაჰმადიანთ შეგირდების გასვლაც სკოლიდამ აი როგორ იყო: ორი პარტია არსებობს და თითოეულს მათგანს სურს თავისი მოლა ჰყავდეს სჯულის მასწავლებლად სკოლაში. ერთი მოლა ლეკია და გავლენიანიც, მაგრამ ქართული არ იცის, მეორე კი ენის მცოდნეა. ეს უკანასკნელი დაინიშნა და შეგირდებიც გაყიდნენ სკოლიდამ.

**ა. ჩოლოყაშვილი.** ნუ ასწავლით სჯულისა და უფრო არ მოერიდებიან სკოლას. ნუ იქნება საგანთა შორის ნურც ქრისტიანური სჯულის სწავლება, ნურც მაჰმადიანურისა. ვგონებ, მთავრობა მოგვცემს ამაზე ნებას.

**თ. ჭავჭავაძე.** უსათუოდ საჭიროა, რომ, როგორც მათი სურვილიც არის, ყურადღება ექმნას მიქცეული მათ სჯულს და ძალი იყვეს მის მასწავლებლად.

დადგენილ იქმნა კითხვა **გაუქმდეს ბოთუმის სკოლა, თუ დარჩეს.**

ხადასწყვიტა კრებამ: **იყვეს სკოლა და თუ დონის-ძიება გვექნება მეორე სკოლაც გავხსნათ სოფლად.** სურვილი კრებისა გამოცხადდა თითქმის ერთ-ხმად დაუფარელი კენჭის ყრით.

(დასასრული ხვალ)

## თფილისის სამკურნალო

ავათმყოფებს მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

**ორშაბათს** გარალევიჩი და ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**ოთხშაბათს.** ლისიცევი და მირიმანოვი შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუს- ავათმყოფობისა.

**ხუთშაბათს.** ლისიცევი—შინაგა- ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების ავათმყოფობისა.

**პარასკევს.** მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირიმანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

**შაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღ. ს სუსტის ავათმყოფობისა.


# განცხადებანი

## ბოზარჯიანცის თამბაქოს მაღაზიისაგან.

რადგან ზოგიერთებმა დაიწყეს ჩემის ფირმის თამბაქოს მსგავსი ყალბის ყუთებით ყიდვა თამბაქოისა, ამის გამო პატივი მაქვს პატივცემულ საზოგადოებას ვთხოვო, რომ ჩემი ფირმის თამბაქოს ყიდვის დროს ყურადღება მიაქციონ საკუთარს სახელსა და გვარს, რომელიც ყოველ პაჩკაზედ და ყუთზედ არის დაწერილი სხვილის ასოებით რუსულად, სომხურად, ქართულად და თათრულად.

ამასთანავე დავსძინებთ, რომ როგორც ადრე ისე ახლაც თამბაქოს მწეველ საზოგადოებისათვის ჩვენ მოგვდის უპირველესი ხარისხის თამბაქო ოსმალოს საუკეთესო პლანტაციებიდამ, როგორც მაგალითად: ქეობეკი ენაჯედამ, სამსონი და სხვ. და აგრეთვე კავკასიის საუკეთესო თამბაქოებიც.

(2—1) ბოზარჯიანც.

## თეთრეთის ნავთი

სავაჭრო სახლში „თ. ივანე კონსტანტინეს-ძე ბაგრატიონ-მუხრან ბატონი და კომპ.“ ისყიდება თედელეთის ნავთის წყაროებიდან ახლად მოტანილიო ნავთი.

მსურველთა შეუძლიანთ ნავთის ფასი იკითხონ სავაჭრო სახლის კანტორაში, რომელიც იმყოფება რუსის ბაზარში (იარმუკაზე), საკუთარს სახლში. (3—3)

ქართველი **სტუდენტი**

ეძებს გაკვეთილებს.

ადრესი — შავერდოვის აგენსტვოში. (4—2)

# მაღაზია

## სალიანის თევზეულისა

უცხადებს საზოგადოებას, რომ მან ახლად მიიღო სალიანში მარტში დაჭერილი თევზეული საგანგებოდ მომზადებული და ისყიდება წვრილადაც და პარტიითაც. აქვე ისყიდება ყოველ დღე მოხარშული თევზეული. მაღაზია იმყოფება თამამშოვის ქარვასლის ქვეშ.

(12—2)

მერვე კლასსის გიმნაზიელი

ამლევს გაკვეთილებს

ადრესი „დროების“ რედაქციაშია.

(6—4)

# ვეძებთ.

უმორჩილესად ვსთხოვთ პოლიციასაც და კერძო პირებსაც ვისაც კი უნახავთ ალექსი იგივე ალექსანდრე პავლეს-ძე იმერლიშვილი, რომელსაც ერთის წლით ჰქონდა პაშპორტი და რომელიც ეს ოთხი წელიწადია არა ვიცით რა...

ამისი ნიშნები: ოცდა რვა წლისა, მოგრძო პირის სახისა, ქერა წვერ ულვაში და ხუჭუჭ თმიანი, მარცხენა თვალში ცოტათი ეტყობა დიბრი, ზომიერი ცხვირი, შუა-ტანისა. უმაწვილი ცოლ-შვილიანი. სიმამრის ძმა გარდაეცვალა და მას უანდერძა ასი თუმანი ფული.

თუ ცოცხალი უნახავს ვისმეს ან თუ ვინმემ იცის პოლიციამ ან კერძო პირმა ამ კაცის სიკვდილი უმორჩილესად სთხოვთ ცოლ-შვილი და დედმამა ამ ყმაწვილისას აცნობონ შემდეგის ადრესით. ქ. თელავში ს. უვარელში **მღვდლის სოლომონ იმერლიშვილის გარდასაცემად.** (4—3)

## ისყიდება

თფილისის წიგნის მაღაზიებში ახლადგამოსული რუსულს ენაზე წიგნი.

**Грузинскія крестьянскія грамоты, крѣпостные и судебные акты, грамоты и письма грузинскихъ и персидскихъ царственныхъ особъ. (Матеріалы для исторіи древной грузіи).**

**сост. Д. П. Пурцеладзе.**

ქუთაისში ისყიდება ჭილაძეების მაღაზიაში.

ფასი ერთი მანეთი

დაიბეჭდა, გამოვიდა და ისყიდება თფილისის წიგნის მაღაზიებში

იგავ-არაკნი

კრილოვისაგან და სიბრძნე-სიცრუისაგან გადმოქმნილი თ. რ. ერისთავის

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ... კვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

**მამულის**

**საერთო მფლობელობაზე**

თხზულება

ანტონ ფურცელაძისა

გამოცემული

ზაქარ ჭიჭინაძისაგან.

ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზი


## ტაქსის

საკვებავ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, ... ნებში და დატარებით 16 ივნისიდამ 1 ივლისამდის.

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილისა

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | |
| მეორის „ | —1 გირ. | |
| მესამის „ | —1 გირ. | |

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | |
| მეორის „ | —1 გირ. | |

ჯვარის-მამის პური:

| | | |
|---|---|---|
| პირველ ხარის. ლავაში | 1 გირ. | |
| მეორის „ „ | —1 გირ. | |
| მესამის „ „ | —1 გირ. | |

ძროხის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 10 |
| მეორის „ | —1 გირ. | |
| სუკი — — | —1 გირ. | 15 |
| ცხვრის ხორცი | — 1 გირ. | |

ღორის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველი ხარისხის | —1 გირ. | — |
| მეორის „ | —1 გირ. | — |


ფაბრიკა

# ძმათა ბუხთა ვარშავაში

## Братья Бухъ въ Варшавѣ

ფურცლებისა, მავთულებისა და სხვა-და-სხვა ხელოვნებისა.

ახალი ვერცხლისა (მელქიორისა, ალფენიდისა) მივაქცევ თქვენს ყურადღებას ფურცლებზე, მავთულებზე და სუფრის მოწყობილობაზე (... ბორზე): კოვზებზე, ჩანგლებზე, დანებზე, სუფრის და ჩაის დესერტის ... ჩებზე (ბლუდებზე), სამოვრებზე, პოდნოსებზე, ჩაინიკებზე, ყავადნებზე, ... ნის დასადგმელებზე, სუდოკებზე, კალათებზე და სხვა შინაურს და საეკლესიო საგნებზე: კანკელებზე ბარძიმ-ფეშხუმზე, სასაცხლურზე, შანდლებზე, და სხვათა საეკლესიო ნივთებზედ.

გარდა ამისა არის კიდევ სხვა სახლის მშვენიერი მოწყობილობა: ლიუსტრები, ხილის და შამფანსკისათვის ვაზები, ეტაჟერკები, სარკეები, ... რები, ბაკალები, სანიცრეები და სხვ.

ეს ფირმა არსებობს 1809 წლიდამ და განთქმულია თავის მქონე რიგიანის ხელოვნებით. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ შემდეგ განყოფილებებში:

1) პეტერბურღში, ნევის ქუჩაზედ № 26 უაზანის სობოროს პირ-პირ,
2) მოსკოვში, ნიკოლსკის ქუჩაზე, შერემეტიევის სახლებში,
3) მოსკოვის გამოფენაზე მე-VI განყოფილებაში,
4) ნიჟნი ნოვგოროდის ოქრომჭედლების რიგში, № 30.

პრეის-კურანტი და ფურცლების ნიმუშები მუქთათ მსურველთ გაეგზავნებათ.

ფაბრიკა ეძებს აგენტებს რეკომენდაციით. (12—5)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 18 Іюня 1882 г. Типографія Меликова გამომცემელი ს. მესხიშვილი, რედაქტორი ს. მე...